საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს კლინიკური პრაქტიკის ეროვნული რეკომენდაციებისა (გაიდლაინების) და კლინიკური მდგომარეობის მართვის სახელმწიფო სტანდარტების (პროტოკოლების) შემუშავების, შეფასების და დანერგვის ეროვნულ საბჭოს

რეცენზია

ა.წ. 24 მარტს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანებით (N01-119/ო) დამტკიცებულ იქნა პროფესორ თენგიზ ცერცვაძის ხელმძღვანელობით შემუშავებული „ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეული ინფექციის (COVID-19) კლინიკური მართვა“ კლინიკური მდგომარეობის მართვის სახელმწიფო სტანდარტი (პროტოკოლი).

ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის COVID-19-ის კლინიკური მართვის განახლებული პროტოკოლის და აგრეთვე სხვა უახლესი კვლევების შედეგების გათვალისწინებით ზემოთაღნიშნულ პროტოკოლში ავტორების მიერ განხორციელდა ცვლილებები. განახლდა მკურნალობის სტრატეგიები. პროტოკოლს დაემატა ინტერლეიკინ-6-ის რეცეპტორის საწინააღმდეგო სპეციფიკური მონოკლონური ანტისხეულებით, COVID-19-ით კონვალესცენტის პლაზმით მკურნალობის და ანტიკოაგულაციური თერაპიის საკითხები, აგრეთვე პლაზმაფერეზის და ექსტრაკორპორული „სისხლის გაწმენდის“ მეთოდების გამოყენება და სხვ.

აღნიშნული პროტოკოლი დიდ დახმარებას გაუწევს ინფექციონისტებს, რეანიმატოლოგებს, ოჯახის ექიმების და ასევე სხვა პროფილის ექიმებს.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, რეკომენდაციას ვუწევ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს კლინიკური პრაქტიკის ეროვნული რეკომენდაციებისა (გაიდლაინების) და კლინიკური მდგომარეობის მართვის სახელმწიფო სტანდარტების (პროტოკოლების) შემუშავების, შეფასების და დანერგვის ეროვნულ საბჭოზე პროფესორ თენგიზ ცერცვაძის

მიერ წარმოდგენილ „ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეული ინფექციის (COVID-19) კლინიკური მენეჯმენტის“ პროტოკოლის განახლებულ ვერსიას.

პატივისცემით,

ელზა ვაშაკიძე
მედიცინის დოქტორი, პროფესორი
თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის
ინფექციურ სნეულებათა დეპარტამენტის ხელმძღვანელი